სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

03 *ივნისი, 2026 წელი*

ბრძანება №01-02/98

ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების, ,,პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 12 დეკემბრის №01-02/210 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. **დამტკიცდეს** ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირთან (შემდეგში - **პროფესიული სტუდენტი)** გასაფორმებელი **ხელშეკრულების ფორმა,** წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 31 იანვრის **№01-02/21 ბრძანება.**
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში - იურიდიული ცნობარი/საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები/რექტორის ბრძანებები და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის რეგულაციების ველში).
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

,,ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ"

*ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 03 ივნისის №**01-02/98** ბრძანების*

დანართი №1

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი **----------, ---- წელი**

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში - **„ბსუ"** ან ,,უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი ბსუ-ს რექტორის _____ მიერ და

მეორე მხრივ, ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„----------„** (შემდეგში - **„ბსუ-ს პროფესიული პროგრამა";** პროფესიული განათლების დონე: ----------; კრედიტების რაოდენობა: --- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის /--- - არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის**; მიღების წელი: ----------)**

ჩარიცხვის უფლებამოპოვებული **პირი** _____ (შემდეგში - **,,პროფესიული სტუდენტი"),**

პროფესიული სტუდენტის **კანონიერი წარმომადგენელი** (მშობელი/მეურვე) _____

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი და ზოგადი დებულებები

1.1. **ხელშეკრულების საგანია** ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხულ ბსუ-ს პროფესიულ სტუდენტთან სამართლებრივი ურთიერთობის რეგულაცია.

1.2. ბსუ-ს პროფესიული პროგრამა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების" (შემდეგში - **,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები"**), ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" (შემდეგში - ,,**სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი**"), ,,პროგრამის" განხორციელებასთან/სასწავლო პროცესთან დაკავშირებით გამოცემული ბსუ-ს მართვის ორგანოთა სხვა აქტების საფუძველზე.

1.3. წინამდებარე მუხლში აღნიშნული ბსუ-ს სამართლებრივი აქტები: ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", ასევე ,,ბსუ-ს შინაგანაწესი", სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებიც ეხება ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე სასწავლო პროცესს ან/და აწესრიგებს მხარეთა შორის სამართლებრივ ურთიერთობას, **წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.**

1.4. **ბსუ-ს შინაგანაწესით განისაზღვრება** (რეგულირდება): ა) ბსუ-ში შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი დებულებები (თავი II); ბ) ბსუ-ში სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომითი საქმიანობისათვის უსაფრთხო გარემოს და ჯანსაღი პირობების შესახებ ზოგადი დებულებები, მათ შორის ყოველგვარი დისკრიმინაციის, შევიწროების (მათ შორის სექსუალური შევიწროების) და სიძულვილის ენის გამოყენების აკრძალვის წესი (თავი III); გ) უნივერსიტეტის სტუდენტის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის წახალისება და

დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები (თავი IV); დ) ბსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური, საინფორმაციო და საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის და ხელმისაწვდომობის წესი (თავი V).

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ-ს პროფესიული პროგრამის განხორციელების/სასწავლო პროცესის შესახებ ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით (მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების 1-ელ მუხლში აღნიშნული რეგულაციებით) და წინამდებარე ხელშეკრულებით.

2.2. პროფესიული სტუდენტი ადასტურებს, რომ ამ **ხელშეკრულების გაფორმებამდე/ხელმოწერამდე გაეცნო** წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ, ბსუ-ს ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge.) განთავსებულ **„პროფესიული სტუდენტის გზამკვლევს“,** ბსუ-ს **რეგულაციებს** (მათ შორის: ბსუ-ს ეთიკის კოდექსს, ბსუ-ს შინაგანაწესს, ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესს“, ბსუ-ს პროფესიულ**ი** პროგრამის მოთხოვნებს, კვალიფიკაციის მინიჭების პირობებს, ბსუ-ში ქცევის წესებს, პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობებს, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის პირობებს და პროცედურებს) და **იღებს ვალდებულებას:**

ა) შეასრულოს ბსუ-ს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები;

ბ) სარგებლობისას გაუფრთხილდეს და დანიშნულებისამებრ, რაციონალურად გამოიყენოს ბსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო, საბიბლიოთეკო და სხვა რესურსები/საშუალებები, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული წესის შესაბამისად; არ დაუშვას ბსუ-ს შენობის, აუდიტორიის, სასწავლო ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკის და უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სხვა ქონების დაზიანება ან/და უდიერად მოპყრობა;

გ) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს და უნივერსიტეტის ინფორმაციას (ადმინისტრაციის ან/და პროფესიული მასწავლებლის მიერ გაგზავნილ დავალებას/შეტყობინებას/აქტებს), რომლებიც განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე - **www.bsu.edu.ge** ან/და გაეგზავნება პროფესიულ სტუდენტს ელფოსტაზე ან/და განთავსდება ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის საინფორმაციო დაფაზე ან/და სოციალურ ქსელში;

დ) ჩაერთოს (მონაწილეობა მიიღოს) უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ გამოკითხვებში/შეფასებებში;

ე) სისტემატურად შეამოწმოს ხელშეკრულებაში მითითებული ელექტრონული ფოსტა, რომლის ან/და პერსონალური მონაცემების (საკონტაქტო ინფორმაციის) ცვლილების შემთხვევაში, განახლებული ინფორმაცია დროულად აცნობოს/წარუდგინოს ბსუ-ს;

ვ) დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები, შეასრულოს სხვა ვალდებულებები/მოთხოვნები/ფუნქცია-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს ეთიკის კოდექსით, ბსუ-ს შინაგანაწესით, საქმისწარმოების ინსტრუქციით, პროფესიული პროგრამის განხორციელების/სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სხვა სამართლებრივი აქტებით.

2.3. პროფესიული სტუდენტის უფლებებია:

ა) წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე (ხელმოწერამდე) გაეცნოს ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ რეგულაციებს (სამართლებრივ აქტებს), ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის გზამკვლევს“ და შესაბამის პროფესიულ პროგრამას;

ბ) მიიღოს პროფესიული პროგრამის შესაბამისი და ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება, მათ შორის მიიღოს კონსულტაციები/სრულყოფილი ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების, პროფესიული პროგრამის (მოდულების) შინაარსის, შეფასების კომპონენტების, შეფასების გასაჩივრების მექანიზმების ან/და პროგრამის განხორციელების/სასწავლო პროცესის საორგანიზაციო საკითხების შესახებ;

გ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს შეფასების შედეგი;

დ) ისარგებლოს ბსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო, საბიბლიოთეკო და სხვა რესურსებით/საშუალებებით, პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის სხვადასხვა საუნივერსიტეტო სერვისებით, ბსუ-ს შინაგანაწესის, პროფესიული სტუდენტის გზამკვლევის, სტრუქტურული ერთეულების დებულებების ან/და ბსუ-ს მართვის ორგანოთა სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის **მობილობის უფლებით, შეიჩეროს ან შეიწყვიტოს** პროფესიული სტუდენტის სტატუსი;

ვ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;

ზ) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში გამოითხოვოს იმ მოდულის სერტიფიკატი (დანართით), რომელიც სრულად აითვისა პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტამდე;

თ) მონაწილეობა მიიღოს პროფესიული პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში, ასევე ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

ი) საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში;

კ) მონაწილეობა მიიღოს (ჩაერთოს) საუნივერსიტეტო პროექტებში/აქტივობებში/ღონისძიებებში, ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

ლ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას; სასამართლოში გაასაჩივროს ბსუ-ს მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება:

მ) პროგრამის მოთხოვნების შესრულების (პროგრამაზე სწავლის დასრულების; სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების შემთხვევაში), მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად შევსებული, პროფესიული განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი - <u>დიპლომი და დიპლომის დანართი;</u>

ნ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული (მინიჭებული) უფლებებით.

2.4. ,,უნივერსიტეტის" უფლებებია:

ა) განსაზღვროს პროფესიულ პროგრამაზე სასწავლო პროცესის საორგანიზაციო პროცედურები/საკითხები (შესაბამისი ცვლილების შემთხვევაში - პროფესიული სტუდენტის ინფორმირებით);

ბ) დაამუშაოს პროფესიული სტუდენტის პერსონალური მონაცემები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ მოთხოვნათა დაცვით, ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში კანონიერი საჭიროების და პროფესიული სტუდენტის თანხმობის გათვალისწინებით;

გ) პროფესიული სტუდენტის მიერ ბსუ-ს შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის ან/და ბსუ-ს სხვა რეგულაციების მოთხოვნების შეუსრულებლობის/დარღვევის შემთხვევაში გამოიყენოს მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები, საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს რეგულაციების შესაბამისად;

დ) მოითხოვოს პროფესიული სტუდენტისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

2.5. „უნივერსიტეტის“ ვალდებულებებია:

ა) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ხარისხიანი განათლების მიღების უფლების რეალიზაცია, ცოდნის სამართლიანი შეფასება და შეფასების შედეგის დადგენილი წესით გასაჩივრების მექანიზმის არსებობა;

ბ) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტისათვის მატერიალური, საინფორმაციო, საბიბლიოთეკო, სასწავლო რესურსების და პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სხვადასხვა საუნივერსიტეტო სერვისების თანაბრად ხელმისაწვდომობა, თანახმად ბსუ-ს შინაგანაწესის, პროფესიული სტუდენტის გზამკვლევის, სტრუქტურული ერთეულების დებულებების ან/და სხვა სამართლებრივი აქტებისა;

გ) შეუქმნას პროფესიულ სტუდენტს ბსუ-ს პროფესიული პროგრამის გავლისათვის (სწავლისათვის) შესაბამისი პირობები (გააცნოს პროფესიული პროგრამის (მოდულების) შინაარსი, შეფასების კომპონენტები, შეფასების გასაჩივრების მექანიზმები, პროგრამის განხორციელების/სასწავლო პროცესის საორგანიზაციო საკითხები, სასწავლო ცხრილი, პროფესიული სტუდენტის უფლებები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, რეგულაციები);

დ) უზრუნველყოს პროფესიული პროგრამის სასწავლო პროცესი შესაბამისი პერსონალით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზ

ით, ასევე უზრუნველყოს ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოში სწავლის პირობები;

ე) პროფესიული სტუდენტის მიერ ბსუ-ს პროფესიული პროგრამის ათვისების შედეგების გათვალისწინებით და ამ ხელშეკრულების პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში გასცეს მასზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად შევსებული, პროფესიული განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი და დიპლომის დანართი.

მუხლი 3. სწავლის საფასური

3.1. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2. ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სწავლის საფასური ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, აღდგენა და შეწყვეტა

4.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება ბსუ-სა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობის შესრულებისგან განთავისუფლება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

4.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის **შეჩერების საფუძვლებია:**

ა) პირადი განცხადება, მიზეზის მითითებით (მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი);
ბ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისა);
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევა (სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა ან აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა ან სხვა), რაც გამორიცხავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესში მონაწილეობას და პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
4.3. პროფესიულმა სტუდენტმა სტატუსის შეჩერების მოთხოვნის შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს ბსუ-ს რექტორს, რომლის საფუძველზეც გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება.
4.4. სტატუსშეჩერებულმა ბსუ-ს პროფესიულმა სტუდენტმა სტატუსის აღდგენის შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს ბსუ-ს რექტორს, რომლის საფუძველზეც გამოიცემა ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის აღდგენის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება, საქართველოს კანონმდებლობისა და ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის ვადაში, ბსუ-ს რექტორის სახელზე წარმოდგენილი წერილობითი განცხადების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტს უღიარდება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული მოდულები (არსებობის შემთხვევაში). პროფესიული სტუდენტის აღდგენის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განისაზღვრება პროფესიული სტუდენტის შესაბამის პროფესიული პროგრამის სასწავლო პროცესში დაბრუნების/სწავლის გაგრძელების თარიღი და ასათვისებელი მოდულები.
4.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტად განიხილება ბსუ-ს და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.
4.6. **პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:**
ა) პირადი განცხადება;
ბ) შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულება (პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება);
გ) შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა;
დ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;
ე) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლა;
ვ) გარდაცვალება;
ზ) შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამოუცხადებლობა და გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ წერილობითი ინფორმაციის უნივერსიტეტისათვის წარმოუდგენლობა;
თ) შუალედურ შეფასებაზე (მათ შორის, განმეორებით შუალედურ შეფასებაზე) გამოუცხადებლობა;
ი) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" გათვალისწინებული შემთხვევა.
4.7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების გაუქმებას, რაც არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების გაუქმებამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე პროფესიული სტუდენტის წერილობითი თანხმობის განაცხადი

5.1. პროფესიული სტუდენტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს თანხმობას,** ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით **დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები** (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, რეგისტრაციის/საცხოვრებელი მისამართი, ფოტო), პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესში მონაწილეობის (დასწრების, შეფასების შედეგების, დიპლომის/დიპლომის დანართის დამზადებისა და გაცემის შესახებ) მონაცემები, საგანმანათლებლო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მიზნებისათვის.

5.2. პროფესიული სტუდენტი **ადასტურებს (აცხადებს),** რომ **ინფორმირებულია მისი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადების** თაობაზე, კერძოდ, მისი პერსონალური მონაცემები დამუშავდება და შეინახება პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული (საგანმანათლებლო მომსახურება) სამართლებრივი ურთიერთობის პროცესში მონაცემების დამუშავების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად აუცილებელი დროით, ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვადით და წესით.

5.3. პროფესიული სტუდენტი (მონაცემთა სუბიექტი) **აცხადებს,** რომ **ინფორმირებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ,** რაც მათ შორის გულისხმობს უფლებამოსილებას, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ ბსუ-ს მიერ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი <u>გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება</u>, თუ აღნიშნული მონაცემები <u>არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული ან მათი შეგროვება და დამუშავება</u> განხორციელდა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

5.4. ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც შეიცავს ამ აპლიკანტის (პროფესიული სტუდენტის) პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე წერილობით თანხმობას და ბსუ-ს რეგულაციების (მათ შორის ბსუ-ს შინაგანაწესის) გაცნობის დადასტურების განაცხადს, წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ინახება პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს პროფესიულ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სწავლის განმავლობაში, მისთვის ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტამდე.

6.2. ამ ხელშეკრულებაში ცვლილება ან დამატება შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ცვლილებები ან დამატებები ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია და ძალაში შედის მხოლოდ მხარეთა ხელმოწერის შემდეგ.

6.3. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით.

6.4. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ მხარეს.

6.5. ამ ხელშეკრულებაში აღნიშნული რომელიმე რეკვიზიტის შეცვლის შემთხვევაში, შესაბამისი მხარე ვალდებულია უმოკლეს ვადაში წერილობით აცნობოს ხელშეკრულების მეორე მხარეს.

6.6. **მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:**

„ბსუ"

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის / ნინოშვილის ქ. №32/35;

ბსუ-ს ვებგვერდი - www.bsu.edu.ge.

ელფოსტა: info@bsu.edu.ge

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

(მისამართი: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15; ელფოსტა - vocational@bsu.edu.ge)

ბსუ-ს რექტორი

(ხელმოწერა)

„პროფესიული სტუდენტი"

სახელი, გვარი: .....

პირადობის მოწმობის №_ _ _ _ _ _

პირადი № _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

ფაქტობრივი

მისამართი .....

რეგისტრაციის

მისამართი .....

ტელეფონი .....

ელფოსტა .....

(**პროფესიული სტუდენტის** ხელმოწერა)

პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი/მეურვე)

სახელი, გვარი: .....

პირადობის მოწმობის №.....

(ხელმოწერა)